სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/21

ქ. თბილისი 6 ივნისი 2025

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ლ.ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 6 ივნისის №01-05-04/90 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2025 წლის 6 ივნისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი (იხ. დანართი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**

დანართი

აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი

ეს დებულება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების საფუძველზე განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალის მიღების წესს.

მუხლი 1. აკადემიური თანამდებობები (აკადემიური პერსონალი)

1. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებს მიეკუთვნება: პროფესორის (ა და ბ კატეგორია), ასოცირებული პროფესორის (ა და ბ კატეგორია), ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის თანამდებობები.
2. პროფესორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.
3. ასოცირებული პროფესორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.
4. ასისტენტ-პროფესორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მეცადინეობებში.
5. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს სასწავლო პროცესის ფარგლებში.

მუხლი 2. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს ირჩევს საკონკურსო კომისია.

მუხლი 3. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 6 წლის გამოცდილება. პირი პროფესორის თანამდებობაზე აირჩევა 4 წლის ვადით ან უვადოდ. უვადოდ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები (მაგალითად, აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვ.). უვადოდ არჩეული პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით ატესტაციის გავლას.

2. ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილება. პირი ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს 4 წლის ვადით.

3. ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი სამი ან ოთხი წლის ვადით.

4. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორანტი სამი ან ოთხი წლის ვადით.

5. აკადემიურ თანამდებობაზე შესაძლებელია აირჩეს აგრეთვე არა ნაკლებ 6 წლიანი შესაბამისი პროფესიული გამოცდილების მქონე პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის საჭირო კომპეტენცია. პირის კვალიფიკაცია შესაძლებელია დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით.

6. სრულ საშტატო ერთეულზე აკადემიური პერსონალის წლიური აკადემიური დატვირთვა შეადგენს: პროფესორისთვის - 390 საათს (ა კატეგორია), 260 საათს (ბ კატეგორია), ასოცირებული პროფესორისთვის - 442 საათს (ა კატეგორია), 390 საათს (ბ კატეგორია), ასისტენტ-პროფესორისთვის - 416 საათს, ასისტენტისთვის - 416 საათს, ხოლო ნახევარ საშტატო ერთეულზე შესაბამისად, პროფესორისთვის - 195 საათს (ა კატეგორია), 130 საათს (ბ კატეგორია), ასოცირებული პროფესორისთვის - 221 საათს (ა კატეგორია), 195 საათს (ბ კატეგორია), ასისტენტ-პროფესორისთვის - 208 საათს, ასისტენტისთვის - 208 საათს. შრომის ანაზღაურება განისაზღვრება აკადემიური დატვირთვის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

7. უცხოენოვან პროგრამებზე არსებულ ვაკანსიაზე განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსანტს მოეთხოვება შესაბამისის უცხო ენის თავისუფალი ცოდნა,

სასაუბრო სიტყვათა და სპეციალური ტერმინოლოგიის სათანადო მარაგი, კომუნიკაციის გამოკვეთილი უნარი. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში კონკურსანტს მოეთხოვება საჩვენებელი ლექციის შესაბამის უცხო ენაზე ჩატარება.
8. აკადემიური პერსონალის ვალდებულებები და სამუშაო აღწერილობები განისაზღვრება კონკურსის გამოცხადების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებით.

მუხლი 4. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის განსაკუთრებული პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლია პირს, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დაკავება შეზღუდული აქვს მოქმედი კანონმდებლობით.
2. პირი, რომელიც მუშაობს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და უნივერსიტეტში გაიმარჯვებს კონკურსში, შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე უნივერსიტეტთან უნდა გააფორმოს აფილირების ხელშეკრულება.
3. პროფესორის და ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში, პირი ვალდებულია უნივერსიტეტთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს სხვა დამსაქმებელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და აღნიშნულის თაობაზე შეწყვეტიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა წერილობით აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციას. აღნიშნული დათქმა ასევე ეხება უნივერსიტეტში სხვა თანამდებობაზე დასაქმებულ პირს, გარდა ფაკულტეტზე შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელისა.
4. იმ შემთხვევაში თუ პირი სხვა დაწესებულებაში დასაქმებულია სრულ განაკვეთზე, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ უნივერსიტეტის მიერ არასრულ განაკვეთზე გამოცხადებულ ვაკანსიაზე.

მუხლი 5. კონკურსის გამოცხადება

1. კონკურსის გამოცხადება ხდება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობის განახლების ან წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით.
2. კონკურსს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, აცხადებს რექტორი.
3. კონკურსის ჩატარების ვადებს, პირობებს, აგრეთვე კანდიდატების მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხას ადგენს და აქვეყნებს აკადემიური საბჭო, კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

4. კონკურსის შესახებ განცხადება ქვეყნდება კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღებამდე არა უგვიანეს 1 თვით ადრე.
5. კონკურსის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო გაცნობისათვის, რომელიც განცხადების სახით უნდა გამოიკრას უნივერსიტეტის თვალსაჩინო ადგილებში, მათ შორის ფაკულტეტებზე, ასევე უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და გამოქვეყნდეს ბეჭდვითი მედიის რომელიმე ორგანოში.
6. გამოქვეყნებულ განცხადებაში აღინიშნება კონკურსანტების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, განცხადებების მიღების ბოლო ვადა, კონკურსის ჩატარებისა და შედეგების გამოქვეყნების თარიღები, ასევე კონკურსის პირობები და წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა.
7. ამ წესით განსაზღვრულ დღეებში იგულისხმება კალენდარული დღეები, თუ ამავე წესით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 6. საკონკურსო კომისია

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ასარჩევად (კონკურსის ჩასატარებლად), აკადემიური საბჭოს მიერ იქმნება საკონკურსო კომისია/კომისიები.
2. საკონკურსო კომისია შედგება 3-7 წევრისაგან.
3. საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს და მის შემადგენლობაში თითოეულ წევრს, მათ შორის კომისიის თავმჯდომარეს შეარჩევს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო.
4. საკონკურსო კომისია პირველ სხდომაზე საკონკურსო კომისიის შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის მდივანს.
5. საკონკურსო განცხადებების მიღებისა და კომისიის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით აკადემიური საბჭოს მიერ იქმნება საკონკურსო კომისიის/კომისიების სამდივნო/სამდივნოები უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის შემადგენლობით.
6. საკონკურსო კომისია ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე.

მუხლი 7. საკონკურსო კომისიის უფლება-მოვალეობები

1. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია:
ა) განახორციელოს აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ორგანიზება და ჩატარება;
ბ) აირჩიოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი;
გ) მიიღოს ყველა გადაწყვეტილება კონკურსის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

დ) განახორციელოს კონკურსში მონაწილეობის მსურველთა დაშვება, სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში დაშვებაზე უარი უთხრას განმცხადებელს ან მოახდინოს კონკურსანტის რეგისტრაციის გაუქმება;
ე) მიიღოს და განიხილოს საპროცედურო დარღვევებთან დაკავშირებული განცხადებები/საჩივრები;
ვ) ნაწილობრივ ან მთლიანად გააუქმოს ან შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილებები;
ზ) მიიღოს გადაწყვეტილება ამ დებულებით გათვალისწინებულ მის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებზე.
თ) არ განიხილოს განცხადება/საჩივარი, თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი.
2. საკონკურსო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით.
3. საკონკურსო კომისიას ეკისრება ვალდებულება კონკურსის ამ დებულებით დადგენილი წესით ჩატარებაზე.
4. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს შესაბამის ოქმებს და ახორციელებს ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
5. საკონკურსო კომისიის სხდომას შეიძლება ხელმძღვანელობდეს კომისიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც აირჩევა იმავე სხდომაზე.
6. საკონკურსო კომისიის მდივანი ხელმძღვანელობს საკონკურსო კომისიის სამდივნოს მუშაობას, კოორდინაციას უწევს საკონკურსო კომისიის მუშაობას, უზრუნველყოფს კომისიის საქმისწარმოებას, ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს (მათ შორის კონკურსის შედეგების შემაჯამებელ ოქმს), რეგისტრაციაში ატარებს საკონკურსო კომისიაში შესულ კორესპონდენციას (მათ შორის განცხადებებს/საჩივრებს) და ახორციელებს ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.
7. საკონკურსო კომისიის სხდომის მოწვევის უფლება აქვს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ან მისი წევრების არა ნაკლებ 1/3-ს.
8. საკონკურსო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3 მაინც.
9. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრის წესით, კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმის (ოქმების) სახით.
10. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

11. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი, კომისიის წევრები და საკონკურსო კომისიის სამდივნოს პერსონალი ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან შეიძლება იღებდნენ ანაზღაურებას.
12. საკონკურსო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის არქივს.

მუხლი 8. ინტერესთა შეუთავსებლობა

საკონკურსო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს კონკურსში მონაწილე კანდიდატი.

მუხლი 9. კონკურსის ორგანიზება

1. კონკურსის ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს უნივერსიტეტი.
2. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საკონკურსო კომისიისათვის შესაბამისი ოთახის გამოყოფასა და სათანადოდ მოწყობას.
3. საკონკურსო კომისიები ჩვეულებრივ მუშაობენ 10.00 საათიდან 17.00 საათამდე. საჭიროების შემთხვევაში, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, დასაშვებია სამუშაო საათების ცვლილება, რაც უნდა აისახოს საკონკურსო კომისიის შესაბამის ოქმში.

მუხლი 10. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა (კონკურსანტთა) რეგისტრაციის წესი

1. აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსში მონაწილეობის მსურველთა (შემდგომში – განმცხადებელი) განცხადებებს (შემდგომში - საკონკურსო განცხადება) იღებს და რეგისტრაციაში ატარებს საკონკურსო კომისიის სამდივნოს პერსონალი კონკურსის გამოცხადების შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით განსაზღვრულ ვადებში.
2. საკონკურსო განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნეს დადგენილი ფორმით შესაბამისი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის სახელზე. საკონკურსო განცხადებისა და სხვა საკონკურსო საბუთების (განცხადების დანართი – კონკურსანტის ანკეტა, სარეგისტრაციო ჟურნალი, ცნობები განცხადებების/საჩივრების მიღების შესახებ და სხვ.) ფორმას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ხოლო მათ დაბეჭდვას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

3. საკონკურსო განცხადებაში აღინიშნება: განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, საკონკურსო თანამდებობის დასახელება აკადემიური დატვირთვის მითითებით. აგრეთვე დასტური იმისა, რომ განმცხადებელი გაეცნო და ეთანხმება უნივერსიტეტის წესდებას, შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს, აკადემიური პერსონალის მიღების წესს (ამ წესს), აკადემიური პერსონალის აფილირების წესს, აგრეთვე აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის საკონკურსო პირობებს და სახელშეკრულებო მოთხოვნებს (აკადემიური პერსონალის შრომითი და აფილირების ხელშეკრულებები). აქვე კეთდება განმცხადებლის ხელმოწერა და მიეთითება თარიღი.

4. განცხადებას თან უნდა დაერთოს კონკურსანტის ანკეტა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება სათანადო ინფორმაცია (მათ შორის ის საკონკურსო საგანი/საგანთა ჯგუფი, რომლებშიც კონკურსანტს შეუძლია სალექციო კურსის ან/და სხვა მეცადინეობების გაძღოლა, აგრეთვე იმ საგნების ჩამონათვალი, რომლებსაც იგი უძღვებოდა გასულ წლებში), რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება კონკურსანტის შესაბამისობის დადგენა საკონკურსო თანამდებობის მოთხოვნებთან. განცხადებას თან უნდა დაერთოს აგრეთვე წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის უტყუარობაზე პასუხისმგებელია განმცხადებელი.

5. დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს დედნის და ასლის სახით, ხოლო ყველა სხვა ინფორმაცია კი _ ისეთი სახით, რომ საკონკურსო კომისიას შეეძლოს მისი უტყუარობის (სისწორის) შემოწმება/დადგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება არ იქნება მიღებული განსახილველად ან აღნიშნული ინფორმაცია არ იქნება მხედველობაში მიღებული საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის მონაცემების შეფასებისას.

6. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების/ორგანიზაციის კომპეტენტური პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (დამოწმება ასევე შესაძლებელია უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და აკადემიური დეპარტამენტის/ ფაკულტეტის ბეჭდით).

7. განცხადების მიღების შემთხვევაში ტექნიკური პერსონალის/უფლებამოსილი პირის მიერ განმცხადებელზე გაიცემა ცნობა განცხადების მიღების შესახებ, რომელშიც აღინიშნება განმცხადებლის სახელი, გვარი, ფაკულტეტის და საკონკურსო თანამდებობის დასახელება, ინფორმაცია აკადემიური დატვირთვის შესახებ (საშტატო ერთეული – სრული ან ნახევარი), წარმოდგენილი დოკუმენტების სრული ნუსხა

ფურცლების რაოდენობის მითითებით, ასევე საბუთების მიღების თარიღი და რიგითი ნომერი. ამასთან, განმცხადებელს უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტების დედნები, ასლები კი რჩება საკონკურსო კომისიაში.

8. ცნობის ან სხვა რაიმე საბუთის მიღებას განმცხადებელი ადასტურებს სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით.

9. განცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 2 დღის ვადაში კომისიის მდივანი ან მის მიერ უფლებამოსილი საკონკურსო კომისიის სამდივნოს წარმომადგენელი ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, წინამდებარე დებულებისა და კონკურსის შესახებ განცხადებაში წარმოდგენილ პირობებთან, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულესა და სისწორეს და ხარვეზის არ არსებობის შემთხვევაში წარუდგენს კომისიას. კომისია იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლის კონკურსში მონაწილედ (კონკურსანტად) დაშვების შესახებ.

10. თითოეულ საკონკურსო ადგილზე რეგისტრირებულ კონკურსანტთა სია ქვეყნდება თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე (სტენდზე).

11. წარმოდგენილ დოკუმენტებში/ინფორმაციაში ხარვეზის აღმოჩენის ან/და დოკუმენტების არასრულყოფილი სახით წარმოდგენის შემთხვევაში, საკონკურსო კომისია წერილობით აცნობებს განმცხადებელს, რომელიც უფლებამოსილია აღმოჩენილი ხარვეზი გამოასწოროს ან/და წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტი შეტყობინების მიღებიდან 5 დღის ვადაში. დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის ან/და დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლის კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ, რაც წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

12. წარმოდგენილ დოკუმენტებში/ინფორმაციაში გაყალბების აღმოჩენისას ან/და ერთი მიმართულებით ერთზე მეტ პოზიციაზე განაცხადის წარდგენის შემთხვევაში, კომისიის მიერ დგება შესაბამისი ოქმი, რის საფუძველზეც კომისია იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლის/კონკურსანტის კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ, რაც წერილობით ეცნობება განმცხადებელს/კონკურსანტს.

მუხლი 11. კონკურსის ჩატარება, კონკურსანტის შერჩევა და შედეგების დამტკიცება

1. კონკურსი ტარდება განცხადებების მიღების დასრულებიდან კონკურსის შედეგების გამოქვეყნებამდე დროის შუალედში, მას შემდეგ რაც განხორციელდება თითოეულ საკონკურსო თანამდებობაზე დარეგისტრირებულ კონკურსანტთა მონაცემებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში

(საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით) კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარდება ინტერვიუ.

2. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს კონკურსანტისაგან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, აგრეთვე საჩვენებელი ლექციის ჩატარება;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი/სპეციალისტები კონკურსანტის სრულყოფილად შეფასების მიზნით.

3. საკონკურსო კომისიის მიერ აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსანტთა არჩევა ხდება საკონკურსო თანამდებობასთან მათი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით, აგრეთვე კონკურსანტთა მიღწევებისა და სხვა აქტივობების გათვალისწინებით.

4. კონკურსის (კენჭისყრის) ჩატარების დღეს საკონკურსო კომისია იხილავს რა კონკრეტული საკონკურსო თანამდებობის არსებულ ვაკანსიებზე კონკურსში მონაწილე თითოეული კონკურსანტის მონაცემებს, ღია კენჭისყრით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ამასთან, საკონკურსო კომისიის ყოველ წევრს უფლება აქვს კონკრეტულ საკონკურსო თანამდებობაზე ხმა მისცეს არაუმეტეს იმდენ კონკურსანტს, რამდენი საკონკურსო ვაკანსიაცაა მოცემულ თანამდებობაზე. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები ფიქსირდება შესაბამის ოქმში (ოქმებში).

5. კონკურსში გამარჯვების (აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის) აუცილებელი პირობაა კონკურსანტისათვის საკონკურსო კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მიერ ხმის მიცემა. კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგის მქონე იმდენი კონკურსანტი, რამდენი ვაკანსიაცაა გამოცხადებული ამ თანამდებობაზე. თუ კონკურსანტების მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო ყველა ვაკანსიაზე ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, ამ კონკურსანტებს დაუყოვნებლივ განმეორებით ეყრება კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად. თუ რომელიმე მორიგ კენჭისყრაზე განმეორდება წინა კენჭისყრის შედეგი, ამ თანამდებობაზე კენჭისყრა შეწყდება.

6. ►აკონკურსო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, დასაშვებია სრული აკადემიური შტატის განაწილება ერთზე მეტ კონკურსანტს შორის შესაბამისი აკადემიური დატვირთვის პროპორციით. ►მასთან, აღნიშნულის თაობაზე საჭიროა კონკურსანტების წერილობითი თანხმობა.

7. მას შემდეგ, რაც კონკურსი (კენჭისყრა) ჩატარდება ყველა საკონკურსო თანამდებობაზე, საკონკურსო კომისიის მიერ ივსება და კენჭისყრით მტკიცდება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) საკონკურსო კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის სახელები და გვარები;
ბ) კენჭისყრაზე გამოცხადებულ საკონკურსო კომისიის წევრთა სახელები, გვარები და ხელმოწერები;
გ) თითოეული კონკურსანტის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
დ) კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადებულ კონკურსანტთა სახელები და გვარები;
ე) შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების თარიღი.
8. საკონკურსო კომისია, შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კენჭისყრის საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ კანდიდატებს (კონკურსის შედეგებს) კონკურსის დასრულებიდან არა უგვიანეს 7 დღისა, დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 12. განმეორებითი კონკურსი

თუ კონკურსში რომელიმე საკონკურსო თანამდებობაზე არ მონაწილეობდა არც ერთი კონკურსანტი, ან კონკურსის ჩატარების შედეგად არ შეივსო შესაბამისი ვაკანსიები, დარჩენილ ვაკანსიებზე აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია განმეორებითი (ხელახალი) კონკურსის გამოცხადება ამ წესით განსაზღვრული პროცედურების სრული დაცვით.

მუხლი 13. კონკურსის შედეგების გამოქვეყნება

საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს აქვეყნებს კონკურსის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნული დღისა, შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მუხლი 14. აკადემიური პერსონალის კონკურსის შედეგების დამტკიცება

საკონკურსო კომისია, შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, კენჭისყრის საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ კანდიდატებს (კონკურსის შედეგებს) დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 15. გასაჩივრების წესი

1. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა და კონკურსის შედეგების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებებისა) ამავე საკონკურსო კომისიაში შეიძლება გასაჩივრდეს

გადაწყვეტილების მიღებიდან 2 (ორი) დღის განმავლობაში, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

2. საკონკურსო კომისიის მიერ ამ დებულებით დადგენილი წესის დარღვევასთან დაკავშირებით განმცხადებელს/კონკურსში მონაწილე კონკურსანტს ან საკონკურსო კომისიის წევრს უფლება აქვს კონკურსის დასრულებიდან 2 (ორი) დღის განმავლობაში შეიტანოს განცხადება/საჩივარი ამავე საკონკურსო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.

3. განცხადება/საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) შესაბამისი საკონკურსო კომისიის დასახელება;

ბ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;

გ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სტატუსი;

დ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;

ე) გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;

ვ) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას) ან/და დართული საბუთების ნუსხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ზ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა, თარიღი და დრო.

4. განცხადებას/საჩივარს თან უნდა ერთვოდეს დარღვევის ოქმის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5. საკონკურსო კომისიის სახელზე შემოსულ განცხადებას/საჩივარს რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საკონკურსო კომისის მდივანი (სამდივნოს პერსონალი), რომელიც ვალდებულია განმცხადებელს გადასცეს ცნობა განცხადების/საჩივრის მიღების თარიღისა და დროის მითითებით.

6. კომისია ვალდებულია განცხადების/საჩივრის შეტანიდან 2 დღის განმავლობაში განიხილოს განცხადება/საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება მისი დაკმაყოფილების, დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ან მისი განუხილველად დატოვების შესახებ.

7. განცხადების/საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას საკონკურსო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ ამ წესით დადგენილი ნორმის დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია ან შეიძლება იქონიოს კონკურსის შედეგზე.

8. განცხადების/საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაძლებელია ჩატარდეს ხელახალი კენჭისყრა.

9. განცხადების/საჩივრის თაობაზე მიღებული საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ან/და კონკურსის შედეგების თაობაზე მიღებული

გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.